

**განმარტებითი ბარათი**  
**საქართველოს კანონის პროექტზე**  
**„სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ**  
**დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“**

**ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:**

**ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:**

**ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:**

სქესობრივი დანაშაულები გამოირჩევა განსაკუთრებული სენსიტიურობითა და კომპლექსურობით, რაც სახელმწიფოს მხრიდან მათ წინააღმდეგ ბრძოლის განსაკუთრებული მექანიზმების შემუშავებას საჭიროებს. დანაშაულთან ბრძოლის არსებული ინსტრუმენტები, რომელიც ძირითადად მიმართულია დანაშაულის გამოვლენისა და გამოძიებისკენ, ხშირად სათანადო ეფექტიანობას მოკლებულია, რამდენადაც არ ქმნის სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის თავიდან აცილების რეალურ შესაძლებლობას. აღნიშნული დღის წესრიგში აყენებს იმგვარი სისტემის შექმნის საჭიროებას, რომელიც ორიენტირებული იქნება როგორც არასრულწლოვნების, ასევე სრულწლოვნების მიმართ ჩადენილი სქესობრივი დანაშაულების ეფექტიან პრევენციაზე და არა მხოლოდ დანაშაულის შემდგომ რეაგირებაზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2018 წელს რეგისტრირებული იყო სქესობრივი დანაშაულის 405 ფაქტი, აქედან 287 სისხლის სამართლის საქმეზე მსხვერპლი იყო არასრულწლოვანი. 2017 წელს რეგისტრირებული იყო სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის 339 ფაქტი, საიდანაც 224 სისხლის სამართლის საქმეზე მსხვერპლი იყო არასრულწლოვანი, ხოლო 2016 წელს რეგისტრირებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის 336 ფაქტიდან 262 სისხლის სამართლის საქმეზე მსხვერპლი იყო არასრულწლოვანი. აღნიშნული მონაცემები ადასტურებს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემთხვევაში არასრულწლოვანი პირების განსაკუთრებულ მოწყვლადობას.

ამ მიმართულებით აღსანიშნავია, ლანსაროტის 2007 წლის 25 ოქტომბრის „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია (საქართველოს მიერ რატიფიცირებული იქნა 2014 წლის 19 მარტს), რომელიც ხელშემკვრელ მხარეებს ბავშვთა მიმართ სექსუალური ხასიათის განმეორებითი დანაშაულების რისკის პრევენციისა და მინიმოზაციის

მიზნით, აკისრებს მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელების ვალდებულებას, მათ შორის, მონიტორინგისა და ზედამხედველობის სპეციფიკური მექანიზმების შექმნას. აღნიშნული ვალდებულებები მოიაზრებს იმგვარი საკანონმდებლო რეგულაციების მიღებას, რომელიც უზრუნველყოფს:

- ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის აქტებისთვის ნასამართლევ პირების დასაქმების თავიდან აცილებას ისეთი პროფესიით, რაც გულისხმობს ბავშვთან რეგულარულ კონტაქტს. ამასთან, კონვენციის 27-ე მუხლის თანახმად, აღნიშნული შეზღუდვის დაწესება დასაშვებია როგორც დროებით, ისე პერმანენტულად;
- გარკვეული პროფესიის წარმომადგენლებისთვის, კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულების მიუხედავად, კომპეტენტური სამსახურებისთვის სექსუალური ძალადობის ფაქტების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დაკისრებას;
- წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის მსჯავრდებულ პირთა ვინაობასთან და გენეტიკურ პროფილთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვებისა და შენახვის შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ სქესობრივ ძალადობასთან ბრძოლა სახელმწიფოს ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენს, თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ არასწორმა პოლიტიკამ შეიძლება უარყოფითი შედეგები გამოიწვიოს, მათ შორის, შექმნას მსჯავრდებულთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის რისკი. აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად, მოცემული კანონი ემყარება ინტერესთა დაბალანსების იდეას. მისი მიზანია, როგორც მსჯავრდებულის კანონიერი ინტერესების, მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის თავიდან აცილება, ისე საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა.

#### **ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:**

სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა საჭიროებს კომპლექსური სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას, რაშიც დიდი როლი უნდა შეასრულოს პრევენციულმა ღონისძიებებმა. ამ მიზნით აუცილებელია სათანადო საკანონმდებლო ბაზის შექმნა.

#### **ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:**

კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგია სექსობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების პრევენციისა და მსხვერპლთა დაცვის ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმების შექმნა.

**ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:**

კანონპროექტის თანახმად, სასამართლოს ენიჭება დისკრეციული უფლებამოსილება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე-141-ე, აგრეთვე, 255<sup>1</sup>-255<sup>2</sup> მუხლებისთვის მსჯავრდებულ პირს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ჩამოართვას ქვემოთ ჩამოთვლილი ერთი ან რამდენიმე უფლება:

ა) საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში, სკოლისგარეშე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებაში (მათ შორის, სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო დაწესებულებაში) საქმიანობის უფლება, ასევე არასრულწლოვნებისთვის ნებისმიერი სახის საგანმანათლებლო/სასწავლო/სააღმზრდელო მომსახურების გაწევა და ასეთი მომსახურების გამწევ დაწესებულებებში საქმიანობა;

ბ) არასრულწლოვანთათვის განკუთვნილ საგანმანათლებლო დაწესებულებასა და ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე არაუმეტეს 30 მეტრის რადიუსში, ბიბლიოთეკაში, ბავშვთა გასართობ ცენტრში, სკოლისგარეშე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებაში (მათ შორის, სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო დაწესებულება), არასრულწლოვნებისთვის ნებისმიერი სახის საგანმანათლებლო/სასწავლო/სააღმზრდელო მომსახურების გამწევ დაწესებულებაში ყოფნის უფლება;

გ) არასრულწლოვანთან ერთად ცხოვრების უფლება, თუ პირს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე-141-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული ჩადენილი აქვს არასრულწლოვნის მიმართ;

დ) „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სოციალური მუშაობა;

ე) საექიმო საქმიანობა;

ვ) სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობა;

ზ) პასიური საარჩევნო უფლება;

თ) იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება;

ი) სატრანსპორტო საშუალებით, მათ შორის, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის უფლება;

კ) სხვა საქმიანობის განხორციელების უფლება, რომლის ჩამორთმევასაც დამნაშავეს პიროვნების და დანაშაულის ხასიათის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნევს სასამართლო.

პროექტის მიხედვით, მოსამართლეს ენიჭება დისკრეცია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მსჯავრდებულს ჩამოართვას ერთი ან რამდენიმე უფლება. აღნიშნული უფლებ(ებ)ის ჩამორთმევასა მოსამართლე ითვალისწინებს მსჯავრდებულის პიროვნულ მახასიათებლებს, ოჯახურ მდგომარეობას, ნასამართლობას, მის დამოკიდებულებას ჩადენილ დანაშაულთან, დანაშაულის ჩადენის ვითარებას, ხერხს, საშუალებას, დამდგარ შედეგს, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკსა და სხვა გარემოებებს.

ამასთან, დისკრეციული უფლებამოსილებიდან გამონაკლისს წარმოადგენს კანონპროექტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებები, რაც სავალდებულო წესით ჩამოერთმევა მსჯავრდებულს არასრულწლოვნის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე-139-ე, 141-ე, 255<sup>1</sup> მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში.

ამასთან, უფლებების ჩამორთმევის მინიმალური და მაქსიმალური ვადები განისაზღვრება კანონით. კერძოდ, პირს უფლებები ჩამოერთმევა: ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში - ხუთ წლამდე ვადით, მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში - ხუთიდან ათ წლამდე ვადით, განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში - ათიდან 15 წლამდე ვადით.

პირის მსჯავრდების შესახებ სასამართლო დაუყოვნებლივ აცნობებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. ასევე, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის პირის მსჯავრდების შესახებ ინფორმაციას სასამართლო დაუყოვნებლივ აწვდის მსჯავრდებულის სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას, თუ იგი დასაქმებულია ისეთ დაწესებულებაში, სადაც აკრძალულია სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის დასაქმება.

პროექტის თანახმად, მსჯავრდებულისათვის ჩამორთმეული უფლებების აღდგენა დასაშვებია: ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულისათვის მსჯავრდების შემთხვევაში - უფლებების შეზღუდვის ვადის არანაკლებ ერთი მესამედის გასვლის შემდეგ, მძიმე კატეგორიის დანაშაულისათვის მსჯავრდების შემთხვევაში - უფლებების შეზღუდვის ვადის არანაკლებ ნახევრის გასვლის შემდეგ, განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულისათვის მსჯავრდების შემთხვევაში -

უფლებების შეზღუდვის ვადის არანაკლებ ორი მესამედის გასვლის შემდეგ, ხოლო უვადოდ ჩამორთმევის შემთხვევაში - შეზღუდვების მოქმედების ვადის დაწყებიდან არანაკლებ თხუთმეტი წლის გასვლის შემდეგ.

უფლებების ვადამდე აღდგენის საკითხს განიხილავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაკატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც უფლებამოსილია მსჯავრდებულის პიროვნებისა და მისი ყოფაქცევის გათვალისწინებით, ვადამდე აღუდგინოს პირს ჩამორთმეული უფლებები, ან შეუმციროს.

პროექტი განსაზღვრავს მსჯავრდებულის მოვალეობებს, კერძოდ:

- მსჯავრდებული ვალდებულია სამინისტროს უფლებამოსილი პირის მიერ დაბარების შემთხვევაში გამოცხადდეს სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში.
- ასევე, მსჯავრდებული საცხოვრებელი/სამუშაო ან სხვა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების ცვლილებიდან არაუგვიანეს 5 დღისა აღნიშნულის შესახებ აცნობებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სამინისტროს უფლებამოსილ ტერიტორიულ ორგანოს.
- ვალდებულების დარღვევად არ ჩაითვლება, თუ პირის სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადება საპატიო მიზეზის გამო შეუძლებელია. ამასთან, პროექტით განიშარტა ის გარემოებები, რომელიც საპატიო მიზეზს წარმოადგენს. მსჯავრდებულის მიერ სამინისტროში გამოცხადების ვალდებულების არასაკატიო მიზეზით შეუსრულებლობა გამოიწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.
- მსჯავრდებულს სამინისტროში გამოცხადების ვალდებულებები ეკისრება ნასამართლობის ვადით, ხოლო თუ მას ამ კანონით განსაზღვრული რომელიმე უფლება ჩამოერთვა, გამოიყენება უფლების ჩამორთმევის ვადა, თუ აღნიშნული აღემატება ნასამართლობის ვადას.
- მსჯავრდებულს ამ კანონით გათვალისწინებული უფლებების ჩამორთმევის შესახებ განემარტება სასამართლოს მიერ განაჩენის გამოცხადებისას, ხოლო პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემთხვევაში - ასევე პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ.

პროექტი ასევე განსაზღვრავს სახელმწიფო უწყებების უფლებამოსილებებს/ვალდებულებებს ამ კანონის ეფექტიანი აღსრულების მიზნით:

- წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, სასამართლოს განაჩენის მიღების შემდეგ სამინისტროს უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია განაჩენში მითითებული მსჯავრდებულის პერსონალური მონაცემები აღრიცხოს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე მსჯავრდებულ პირთა რეესტრში, რომლის შექმნაც ასევე გათვალისწინებულია ამ პროექტით.
- სამინისტროს უფლებამოსილი პირი მსჯავრდებულზე დაკისრებული შეზღუდვების/ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის მიზნით უფლებამოსილია გამოცხადდეს მსჯავრდებულის საცხოვრებელ/სამუშაო ადგილზე, გამოითხოვოს ინფორმაცია მსჯავრდებულის საცხოვრებელი/სამუშაო ადგილის, აგრეთვე, მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შესახებ და გაატაროს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებები.
- ამასთან, თუ არსებობს ფაქტი ან ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს მსჯავრდებულის მხრიდან დანაშაულის ჩადენის რეალურ საფრთხეზე, სამინისტროს უფლებამოსილი პირი მსჯავრდებულის პერსონალურ მონაცემებს აცნობებს იმ დაწესებულებას/უწყებას, სადაც ან რომლის მიმდებარე ტერიტორიაზეც არსებობს მსჯავრდებულის მხრიდან დანაშაულის ჩადენის რეალური საფრთხე. დაწესებულება/უწყება ვალდებულია მსჯავრდებულის მხრიდან საფრთხის შემცველი ქმედების გამოვლენისთანავე, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს სამინისტროს ინფორმირება.
- პენიტენციურ დაწესებულებას განესაზღვრება ვალდებულება სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პირის პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების, გაქცევის, აგრეთვე პატიმრობის კოდექსის 71<sup>ე</sup> მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან გასვლის შესახებ წერილობითი შეტყობინება დაუყოვნებლივ გაუგზავნოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.
- კანონი შესაბამის უწყებებს, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, აკისრებს კონტროლის მოვალეობას. კერძოდ, სასწავლო, საგანმანათლებლო, საადმინისტრაციო, სკოლისგარეშე სახელოვნებო, სასპორტო ან/და საგანმანათლებლო სფეროებში მომუშავე, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დაწესებულებები, სადაც აკრძალულია სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის ნასამართლევ პირის დასაქმება, ვალდებული არიან, შესაბამისი საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭებამდე პირს მოსთხოვონ ნასამართლობის და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების წარმოდგენა. აღნიშნული ჩანაწერის აღსრულება ხელს შეუწყობს

საგანმანათლებლო/სამედიცინო დაწესებულებებში სქესობრივი დანაშაულებისათვის მსჯავრდებული პირების დასაქმების თავიდან აცილებას, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მოსალოდნელი დანაშაულის პრევენციას. ზემოაღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას.

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, მუნიციპალიტეტები ვალდებული არიან კომპეტენციის ფარგლებში განახორციელონ მათ დაქვემდებარებაში/მათი კონტროლის ქვეშ არსებული დაწესებულებების მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი, დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში განახორციელონ რეაგირება კომპეტენციის ფარგლებში და აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობონ სამინისტროს. ამ მიზნით აღნიშნული უწყებები უფლებამოსილი არიან, საჭიროების შემთხვევაში, გამოითხოვონ ინფორმაცია მათ დაქვემდებარებაში/მათი კონტროლის ქვეშ არსებულ დაწესებულებებიდან ან შექმნან მათთან მონაცემთა წვდომის მექანიზმები.
- უწყებები, რომლებსაც ეგზავნებათ განაჩენი, ვალდებული არიან მსჯავრდებულისათვის უფლებების ჩამორთმევის შესახებ, დაიცვან ინფორმაციის კონფიდენციალურობა და მიიღონ ზომები ასეთი ინფორმაციის უკანონო გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად.

მნიშვნელოვან ნოვაციას წარმოადგენს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე მსჯავრდებულთა რეესტრი. კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროში იარსებებს ერთიანი ელექტრონული ბაზა, რომელშიც დაცული იქნება პერსონალური მონაცემები სსკ-ის 137-ე-141-ე, 255<sup>1</sup>-255<sup>2</sup> მუხლებით მსჯავრდებული პირების შესახებ. აღნიშნული რეესტრის ფუნქციონირებას აქვს ორი ძირითადი მიზანი - სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ეფექტიანი პრევენცია და ამგვარი დანაშაულების ჩამდენ პირთა იდენტიფიცირების გამარტივება. რეესტრის წარმოების მიზნით, მსჯავრდებულის პერსონალური მონაცემების, მათ შორის, ნასამართლობის, დაქტილოსკოპიური და სხვა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების, დამუშავებას განახორციელებს სამინისტრო.

**ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):**  
ასეთი არ არსებობს.

**ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:**

კანონის ამოქმედების დროდ შერჩეული იქნა ის თარიღი, რა მომენტისთვისაც შესაძლებელი იქნება კანონის აღსასრულებლად საჭირო ღონისძიებების გატარება და შესაბამისი სამართლებრივი და ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებების გატარება.

**ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):**

ასეთი არ არსებობს.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს ცალკეული ადმინისტრაციული ორგანოების ხარჯის ზრდა. მაგალითად, კანონის ამოქმედების შემდეგ შესაძლოა გაიზარდოს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების გამოვლენა და შესაბამისად - სასამართლოსათვის მიმართვიანობა. ამასთან, სასამართლოს ეკისრება ვალდებულება განაჩენის გამოტანისას აღნიშნულზე ინფორმაცია მიაწოდოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, მსჯავრდებულის სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას და პროექტით გათვალისწინებულ შესაბამის უწყებებს, რაც დაკავშირებული დამატებით ადმინისტრაციული ხარჯების გაწევასთან. ასევე, მონიტორინგის განმახორციელებელს უწყებებს ეკისრებათ ვალდებულება მათ დაქვემდებარებაში/მათი კონტროლის ქვეშ არსებულ დაწესებულებებთან შექმნან მონაცემთა წვდომის მექანიზმები და განახორციელონ მონიტორინგის ღონისძიებები.

ზემოაღნიშნული ხარჯები არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიმდინარე წელს დამატებითი სახსრების გამოყოფას. სახელმწიფო უწყებები ამ კანონით დაკისრებულ მოვალეობებს აღასრულებენ მათთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში და ასევე, აღნიშნული არ გამოიწვევს ამ უწყებების ადამიანური რესურსის ზრდას.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტმა შესაძლოა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე იქონიოს გავლენა მხოლოდ ნასამართლობის და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების დაჩქარებული წესით გაცემისას. კერძოდ, აღნიშნული ცნობების სამი სამუშაო დღის

განმავლობაში გაცემისათვის დაჩქარებული მომსახურების საფასურის განაკვეთია 15 ლარი, ხოლო ერთი სამუშაო დღის განმავლობაში გაცემისათვის დაჩქარებული მომსახურების საფასურის განაკვეთია 25 ლარი.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს ცალკეული ადმინისტრაციული ორგანოების ხარჯის ზრდა. მაგალითად, კანონის ამოქმედების შემდეგ შესაძლოა გაიზარდოს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების გამოვლენა და შესაბამისად - სასამართლოსათვის მიმართვიანობა. ამასთან, სასამართლოს ეკისრება ვალდებულება განაჩენის გამოტანისას აღნიშნულზე ინფორმაცია მიაწოდოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, მსჯავრდებულის სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას და პროექტით გათვალისწინებულ შესაბამის უწყებებს, რაც დაკავშირებული დამატებით ადმინისტრაციული ხარჯების გაწევასთან. ასევე, მონიტორინგის განმახორციელებელს უწყებებს ეკისრებათ ვალდებულება მათ დაქვემდებარებაში/მათი კონტროლის ქვეშ არსებულ დაწესებულებებთან შექმნან მონაცემთა წვდომის მექანიზმები და განახორციელონ მონიტორინგის ღონისძიებები. შინაგან საქმეთა სამინისტრო ვალდებულია შექმნას ელექტრონული ბაზა, რომელშიც დაცული იქნება მსჯავრდებულთა პერსონალური მონაცემები.

ზემოაღნიშნული ხარჯები არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიმდინარე წელს დამატებითი სახსრების გამოყოფას. სახელმწიფო უწყებები ამ კანონით დაკისრებულ მოვალეობებს აღასრულებენ მათთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში და ასევე, აღნიშნული არ გამოიწვევს ამ უწყებების ადამიანური რესურსის ზრდას.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტის მიღება წარმოშობს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება. კერძოდ, მსჯავრდებულ პირებს შესაძლოა შეეზღუდოთ იმგვარი საქმიანობის უფლება, რაც წარმოადგენს მათი შემოსავლის წყაროს. პროექტის თანახმად, ეს უფლებები შესაძლოა იყოს:

- საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში, სკოლისგარეშე საგანმანათლებლო და

საადმინისტრაციო დაწესებულებაში (მათ შორის, სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო დაწესებულებაში) საქმიანობის უფლება, ასევე არასრულწლოვნებისთვის ნებისმიერი სახის საგანმანათლებლო/სასწავლო/საადმინისტრაციო მომსახურების გაწევა და ასეთი მომსახურების გამწევ დაწესებულებებში საქმიანობა;

- „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სოციალური მუშაობა;
- საექიმო საქმიანობა;
- სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობა;
- სატრანსპორტო საშუალებით, მათ შორის, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის უფლება;
- სხვა საქმიანობის განხორციელების უფლება, რომლის ჩამორთმევასაც დანაშაულის პიროვნების და დანაშაულის ხასიათის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნევს სასამართლო.

ამასთან, აღნიშნული უფლების ჩამორთმევა დამოკიდებულია სისხლის სამართლის საქმის ინდივიდუალურ გარემოებებზე. სასამართლო ამ კანონით გათვალისწინებული უფლებების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით (გარდა კანონპროექტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებისა) და ითვალისწინებს მსჯავრდებულის პიროვნულ მახასიათებლებს, ოჯახურ მდგომარეობას, ნასამართლობას, მის დამოკიდებულებას ჩადენილ დანაშაულთან, დანაშაულის ჩადენის ვითარებას, ხერხს, საშუალებას, დამდგარ შედეგს, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკსა და სხვა გარემოებებს. უფლების ჩამორთმევის შემთხვევაში შეიზღუდება მსჯავრდებულის დასაქმების სფერო და საქმიანობის არეალი, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მათი შემოსავლების შემცირება.

აქვე, გასათვალისწინებელია, რომ კანონით გათვალისწინებულ სფეროებში დასაქმებამდე პირი ვალდებულია შესაბამის დაწესებულებას წარუდგინოს ცნობა ნასამართლობის/უფლების ჩამორთმევის შესახებ. აღნიშნული გამოიწვევს ფინანსურ შედეგს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირი მოითხოვს ცნობების დაჩქარებული წესით გაცემას. კერძოდ, ხუთ სამუშაო დღეში ნასამართლობის და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების გაცემა ადრესატის მიმართ არ წარმოშობს ფინანსურ შედეგს, სამი სამუშაო დღის განმავლობაში ცნობების გაცემისათვის დაჩქარებული მომსახურების საფასურის განაკვეთია 15 ლარი, ხოლო ერთი სამუშაო დღის განმავლობაში გაცემისათვის დაჩქარებული მომსახურების საფასურის განაკვეთია 25 ლარი.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს, აგრეთვე კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

**გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:**  
ასეთი არ არსებობს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

კანონპროექტზე მუშაობისას კონსულტაციები გაიმართა სახელმწიფო უწყებებთან, არასამთავრობო სექტორის/ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს.

**დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:**

სქესობრივი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული და ამერიკული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, სახელმწიფოს მხრიდან ასეთ დანაშაულებზე რეაგირება არ შემოიფარგლება მხოლოდ დანაშაულის ჩამდენ პირთა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემით.

არსებული საფრთხეების გათვალისწინებით, სქესობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდგომაც ხორციელდება მთელი რიგი ღონისძიებები.

მაგალითად, ინგლისში შესაძლებელია სექსუალური ხასიათის დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირის პირობით ვადამდე გათავისუფლება (Release on licence), რა დროსაც მას ეზღუდება გარკვეული უფლებები. თუ პირი დაარღვევს პირობებს (breach of licence), რაზეც თანხმდებიან მხარეები, მას დააკავებენ და ის სასჯელს მოიხდის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.<sup>1</sup>

სტანდარტულ პირობებთან ერთად (კანონის დაცვა, ზედამხედველი ოფიცრის ინფორმირება და ა.შ.) შეიძლება დაუწესდეთ დამატებითი მოთხოვნები, კერძოდ:

- იმ საქმიანობის შეზღუდვა, რასაც პირი ეწეოდა;
- ინტერნეტთან წვდომის შეზღუდვა;
- მობილური ტელეფონისა და კამერის გამოყენების შეზღუდვა;
- მსხვერპლთან/18 წლამდე ასაკის პირებთან კონტაქტის და მათთან ერთად ცხოვრების აკრძალვა;

---

<sup>1</sup> Information booklet for people on licence for a sex offence on:

<http://www.prisonreformtrust.org.uk/Portals/0/Documents/sex%20offender%20information%20booklet.pdf>

- ბავშვთა თავშეყრის ადგილებთან მიახლოების აკრძალვა (სკოლები, ბაღები, სპორტული მოედნები);
- სექსუალური ხასიათის დანაშაულების ჩამდენ პირებთან კონტაქტის აკრძალვა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი ერთად გადიან სარეაბილიტაციო კურსებს ან ერთ შენობაში ცხოვრობენ;
- სექსუალური ხასიათის დანაშაულის ჩამდენ პირთა რეაბილიტაციის პროგრამაში მონაწილეობა;
- პოლიგრაფის ტესტის გავლა;
- დარჩეს სახლში გარკვეულ დროის მონაკვეთში;
- ფსიქიატრთან კონსულტაციის გავლის ვალდებულება.<sup>2</sup>

დიდ ბრიტანეთში არსებობს ე.წ. სქესობრივი დანაშაულების ჩამდენ პირთა რეესტრი, რომელიც შექმნილია Sex Offenders Act 1997-ის საფუძველზე. იგი მოიცავს, როგორც არასრულწლოვნების, ისე სრულწლოვანთა მიმართ სქესობრივი ხასიათის დანაშაულების ჩამდენი პირების შესახებ მონაცემების დამუშავებას. თუ პირი პენიტენციური დეპარტამენტის დატოვებიდან 3 დღის ვადაში არ მიაწვდის უფლებამოსილ ორგანოს ქვემოთ ჩამოთვლილ ინფორმაციას მის მიმართ დაიწყება სისხლისსამართლებრივი დევნა, რაც ითვალისწინებს 5 წლით თავისუფლების აღკვეთას. პირს ეკისრება ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება:

- საკუთარი საცხოვრებელი ადგილის შესახებ;
- დაგეგმილი მოგზაურობების შესახებ;
- პირად მონაცემებში ცვლილების შესახებ;
- საცხოვრებელ სახლში არასრულწლოვანთან ცხოვრების თაობაზე;
- საბანკო/ საკრედიტო ანგარიშების შესახებ.<sup>3</sup>

აღნიშნული ინფორმაციის მიღების შემდეგ პოლიცია რეგულარულად ამოწმებს ამ მონაცემების სიზუსტეს, სხვადასხვა მეთოდით, მათ შორის, სახლში ვიზიტის გზითაც.<sup>4</sup>

მოცემული შეტყობინების ვალდებულება განსხვავდება პირის ასაკისა და ჩადენილი დანაშაულების მიხედვით (იხ. ცხრილი).

გათვალისწინებული სასჯელი	შეზღუდვების მოქმედების ვადა
--------------------------	-----------------------------

<sup>2</sup> Information booklet for people on licence for a sex offence გვ.10

<sup>3</sup> <http://www.centralchambers.co.uk/sex-offender-register-removed-list/>

<sup>4</sup> <https://www.inbrief.co.uk/offences/the-sex-offenders-register/>

თუ პირს მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა 30 თვეზე მეტი ვადით	განუსაზღვრელი ვადით
მოთავსებული იქნა საავადმყოფოში სასამართლო ბრძანების საფუძველზე	განუსაზღვრელი ვადით
თუ პირს მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა 6 დან 30 თვემდე.	10 წელი / არასრულწლოვნის შემთხვევაში 5 წელი
თუ პირს მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა 6 თვეზე ნაკლები ვადით	7 წელი/ არასრულწლოვნის შემთხვევაში 3.5 წელი
სხვა არასაკატიმრო სასჯელის შემთხვევაში	5 წელი/ არასრულწლოვნის შემთხვევაში 1 წელი

**შენიშვნა:** დაკისრებული ვალდებულებების ვადაზე ადრე მოხსნის შესაძლებლობა (იგულისხმება მხოლოდ განუსაზღვრელი დროით შეზღუდვების მქონე პირები) პირს ენიჭება მხოლოდ პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლებიდან 15 წლის შემდეგ.<sup>5</sup>

მსგავსი რეგულაციებია ამერიკის შეერთებულ შტატებში. კერძოდ, როგორც ფედერალურ, აგრეთვე შტატების დონეზე ხორციელდება იმ პირთა შესაბამის რეესტრებში აღრიცხვა, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან სქესობრივი დანაშაულისათვის. მაგალითად, მონაცემთა ბაზაში იტვირთება დამნაშავეს პერსონალური მონაცემები, ნასამართლობის ცნობები, მისამართი და ფოტოსურათები. აღნიშნული ინფორმაცია მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომია 10 წლის ვადით.<sup>6</sup> აშშ-ის მოსახლეობა უფლებამოსილია ბაზებში მოძებნოს დამნაშავეები და მიიღოს ინფორმაცია მათი საცხოვრებელი ადგილის შესახებ. „SORN“ ბაზაში რეგისტრაცია ავტომატურად იწვევს გარკვეული უფლებების დაკარგვას:

- მხოლოდ განსაზღვრულ სამუშაო ადგილებზე მუშაობა;
- სკოლის ტერიტორიასთან მიახლოება (300-700 მეტრამდე);<sup>7</sup>
- მსხვერპლთან მიახლოების აკრძალვა;
- სკვერებთან, პარკებთან და ბავშვთა თავშეყრის ადგილებთან მიახლოება;

<sup>5</sup> <http://www.centralchambers.co.uk/sex-offender-register-removed-list/>

<sup>6</sup> <https://www.isp.state.il.us/sor/faq.cfm>

<sup>7</sup> <https://www.smart.gov/pdfs/AdultSexOffenderManagement.pdf>

- მართვის მოწმობის უფლების ჩამორთმევა.<sup>8</sup>

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.

---

<sup>8</sup> <https://www.legalmatch.com/law-library/article/registered-offender-laws.html>